ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №080
(კლასიფიკატორის კოდები: 44100000; 44400000)

ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი 08 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ-„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“ (შემდგომში–„შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ლევან აფხაზავას** სახით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. **„რომა“** (შემდგომში–„მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **რომან ფუტკარაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის", „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისთვის 40 (ორმოცი) სხვადასხვა სახის სანტექნიკური საქონელის მიწოდება - შემდგომში „საქონელი";
1.2. საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ანგარიშსწორების ვალუტა

2.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **2346 (ორიათასსამასორმოცდაექვსი) ლარს** მისი დაფინანსების წყაროა **არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრები**;
3.2. საქონლის ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;
3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში და მიმწოდებლის მხრიდან პირგასამტეხლოს ჩარიცხვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

4. საქონლის შესაბამისობა

4.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ წესებსა და ნორმებს;
4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5. საქონლის მიღება – ჩაბარება

5.1. საქონლის მიღება - ჩაბარება გაფორმდება ხელშეკრულების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ;

5.2. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;
5.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;
5.4.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ა(ა)იპ – „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს შესყიდვების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი კომახიძე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს საქონლის ინსპექტირება;
6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებენ ა(ა)იპ – „ბათუმის ბოტანიკური ბაღი"-ს სამეურნეო განყოფილების უფროსი გივი ახობაძე ან\და ამ საქმიანობისათვის საჭირო მოწვეული სპეციალისტი (სპეციალისტთა ჯგუფი);
6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) საქონელი მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;
გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
დ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
ე) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. ფორს-მაჟორული სიტუაციების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობით;

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები;
8.5. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს შემსრულებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;
8.6. პირგასამტეხლოს მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის წესით, არაუგვიანეს საქონლის მიწოდების შემდგომ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
8.7. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით;
8.8. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ,) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა და რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;
9.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე; ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან;
12.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე;
12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით; იმ შემთხვევაში, თუ კონსენსუსი არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
12.6. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
12.7. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო მეორე „შემსყიდველთან".

13. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
13.2. საქონლის მიწოდების ადგლია: ქ. ბათუმი, პუშკინის #24.
13.3. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადაა 2017 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით .

14.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ-ბათუმის ბოტანიკური ბაღი	შ.პ.ს. „რომა"
საიდენტიფიკაციო კოდი:245615963	საიდენტიფიკაციო კოდი: 445494572
მისამართი: ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი.	მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის #11.
ტელეფონი: (0422) 27 00 33	ტელეფონი: 599 43 43 62;
სახელმწიფო ხაზინა;	ს.ს. „საქართველოს ბანკი"
შემოსავლის სახაზინო კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა 740717520	ა/ა: GE27BG0000000756154900
დირექტორის მ.შ. ლევან აფხაზავა _____	დირექტორი რომან ფუტკარაძე _____

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა #3

#	CPV	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რა-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო თანახა (ლარი)	მიწოდების ვადა
1	44163100	მილი 25-იანი უფოლგო PN 16-თეთრი	მეტრი	108	1,5	162	
2	44165300	პლატმასის ქურო 25-იანი	ცალი	70	0,35	24,5	
3	44167300	მუხლი 20-იანი 45°	ცალი	30	0,3	9	
4	44165300	გადამყვანი 25*20-ზე (მუფტა 25-იანი)	ცალი	10	0,3	3	
5	44167300	მუხლი 20*45 (ნახევარ შეიკა)	ცალი	10	0,25	2,5	
6	44167300	პლასტმასის მუხლი 20-იანი შ/ხ	ცალი	50	1,3	65	
7	44167300	პლასტმასის მუხლი 20-იანი გ/ხ	ცალი	50	1,3	65	
8	44167300	სამკაპი გ/ხ 20-იანი	ცალი	5	1,3	6,5	
9	44167300	სამკაპი შ/ხ 20-იანი	ცალი	15	1,3	19,5	
10	44165300	ქურო გ/ხ 20-იანი	ცალი	20	1,2	24	
11	44165300	ქურო შ/ხ 20-იანი	ცალი	20	1,2	24	
12	44165300	ლითონის ფიტინგი შ/ხ 20-იანი (შტუცერი)	ცალი	35	1,2	42	
13	44165300	ლითონის ფიტინგი გ/ხ 20-იანი (შტუცერი)	ცალი	10	1,2	12	
14	44111500	პაკლი პატარა	ცალი	20	0,5	10	
15	44165300	თუთიის ქურო 20-იანი შ/ხ	ცალი	60	1,3	78	
16	44165300	თუთიის გადამყვანი ნიპელი 1/2*1/2 (ქურო 20-გ/ხ)	ცალი	20	0,9	18	
17	44163100	უჟანგი დრეკადი შლანგი (მილი 90სმ 1/2*1/2)	ცალი	35	3,5	122,5	
18	44163100	უჟანგი დრეკადი შლანგი (მილი 90სმ 1/2*3/8)	ცალი	20	4,5	90	
19	44163100	უჟანგი დრეკადი შლანგი (მილი 13მმ 60სმ 1/2*1/2)	ცალი	40	4,8	192	
20	44163100	საკანალიზაციო მილი 110*2000 (2მ)	ცალი	35	8,3	290,5	**2017** წლის **30** ივნისის ჩათვლით პერიოდი
21	44167300	ნახევარ მუხლი 100მმ 45°	ცალი	10	2,3	23	
22	44167300	სამკაპი 100*50*90	ცალი	10	3	30	
23	44165300	კანალიზაციის მუფტა (გადამყვანი 100*50 (ბუტილკა))	ცალი	5	2	10	
24	44163100	კანალიზაციის მილი 50*2000 3,2მმ (2მ-იანი)	ცალი	25	4,3	107,5	
25	44167100	პლასტმასის ფიტინგი 50*45	ცალი	15	0,65	9,75	
26	44167100	პლასტმასის ფიტინგი 50*87	ცალი	15	0,65	9,75	
27	44163100	მილი 50*250 3,2მმ	ცალი	10	1	10	
28	44163100	მილი 50*500 3,2მმ	ცალი	15	1,5	22,5	
29	44163100	მილი 50*1000 3,2მმ	ცალი	10	2,3	23	
30	44165300	პლატმასის ხუფი 20მმ გ/ხ	ცალი	50	0,2	10	
31	44165300	პლატმასის ხუფი 20მმ შ/ხ	ცალი	50	0,25	12,5	

32	44165300	პლატმასის ხუფი25მმ შ/ხ	ცალი	50	0,3	15
33	44165300	პლატმასის ხუფი25მმ გ/ხ	ცალი	50	0,3	15
	ჯამი					1558
34	44425200	რეზინის შუასადები 1/2 (პრაკლატკა 20)	ცალი	100	0,1	10
35	44425200	რეზინის შუასადები 3/4 (პრაკლატკა 25)	ცალი	50	0,1	5
36	44425200	საკანალიზაციო დამშვები მსხალი (გრუშა 50-იანი)	ცალი	30	0,4	12
37	44411700	უნიტაზის ბაჩოკი	ცალი	15	23	345
38	44411100	ეზოს ონკანი ლატუნის ძირით 20 მმ	ცალი	20	5,3	106
39	44411700	ტივტივა მექანიზმი 1/2 (ბურთულა პაპლაოკი 20-იანი)	ცალი	15	12	180
40	44411700	უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმი	ცალი	10	13	130
	ჯამი					788,00
		სულ ჯამი				2346,00

დირექტორი _____ რომან ფუტკარაძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ-„ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 40 (ორმოცი) სხვადასხვა დასახელების სანტექნიკური საქონელის შესყიდვის საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დირექტორის მ.შ. ლევან აფხაზავა

სამეურნეო განყოფილების
უფროსი გივი ახობაძე

შესყიდვების განყოფილების
უფროსის მ.შ. გიორგი კომახიძე